ა(ა)იპ - აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკასა

და

შპს - ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტს

შორის ურთიერთთანამშრომლობის

მ ე მ ო რ ა ნ დ უ მ ი

ქ. ბათუმი 19, 11, 2019

ერთი მხრივ, **ა(ა)იპ - აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკა**, წარმოდგენილი დირექტორის, ინგა გოგიბერიძის სახით, და მეორე მხრივ **შპს - ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტი**, წარმოდგენილი რექტორის, პროფესორ პარმენ ხვედელიძის სახით (შემდგომში, წოდებულნი „მხარეებად"), თანხმდებიან საგანმანათლებლო და სამეცნიერო სფეროში თანამშრომლობის შესახებ შემდეგზე:

მუხლი 1. მხარეთა უფლება-მოვალეობები

1. დოკუმენტი ითვალისწინებს მემორანდუმზე ხელისმომწერ დაწესებულებათა შორის ფართო სპექტრის თანამშრომლობას, რომელიც ხელს შეუწყობს გამოცემებისა და ინფორმაციის გაცვლას, თანამედროვე საბიბლიოთეკო ტექნოლოგიების შესწავლას, დანერგვასა და განვითარებას;
2. ა(ა)იპ „აკაკი წერეთლის სახელობის ქ. ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკა" უსასყიდლოდ მიიღებს შპს „ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტი" ბაზაზე მომზადებულ სახელმძღვანელოებს, სამეცნიერო ხასიათის ნაშრომებს და პუბლიკაციებს;
3. მემორანდუმის ფარგლებში გათვალისწინებულია: ერთობლივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტების შემუშავება, გამოფენების, ლექცია–სემინარების ჩატარება, კონფერენციებისა და დისკუსიების ორგანიზება, გასართობი, შემეცნებითი ხასიათის ღონისძიებების, კულტურული შეხვედრებისა და ლიტერატურული საღამოების მოწყობა;
4. მხარეები ითანამშრომლებენ სამეცნიერო, კულტურულ და წიგნთგაცვლით საქმიანობაში;
5. მხარეები უზრუნველყოფენ წიგნადი ფონდებით სარგებლობის ხელმისაწვდომობას.

მუხლი 2. პრიორიტეტული მიმართულებები

1. მხარეები ხელს შეუწყობენ ერთობლივი სამეცნიერო კვლევების განხორციელებას;
2. მხარეები გაცვლიან ინფორმაციას მათთან დაგეგმილი სამეცნიერო და სამეცნიერო-მეთოდური კონფერენციების, სემინარების, ტრენინგების და სხვა ღონისძიებების შესახებ და ხელს შეუწყობენ პარტნიორი მხარის წარმომადგენელთა მონაწილეობას ამ ღონისძიებებში;

3. მხარეები იზრუნებენ ერთობლივი სამეცნიერო ღონისძიებების (კონფერენცია, სემინარი), აგრეთვე ერთობლივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტების განხორციელებაზე;
4. სამეცნიერო სტატიები, ანგარიშები და კვლევების შედეგები ერთ-ერთი მხარის ბეჭდვით ორგანოში პუბლიკაციას ექვემდებარება ურთიერთშეთანხმების საფუძველზე;
5. მხარეები იზრუნებენ საგრანტო პროგრამების მოძიებასა და საგრანტო კონკურსებში ერთობლივ მონაწილეობაზე.

მუხლი 4. ხელშეკრულების მოქმედებისა და ძალაში შესვლის პირობები

1. ხელშეკრულება იდება განუსაზღვრელი ვადით;
2. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეების მიერ მისი ხელმოწერის დღიდან;
3. ხელშეკრულების შეწყვეტა შესაძლებელია ერთ-ერთი მხარის ინიციატივით.

ა(ა)იპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკა	შპს ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტი
(ქ. ბათუმი, ვაჟა-ფშაველას ქუჩა №21)	(ქ. ბათუმი, თამარ მეფის გამზირი №38)
დირექტორი, ინგა გოგიბერიძე	რექტორი, პროფესორი პარმენ ხვედელიძე
ბ.ა.	შპს ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტი BATUMI NAVIGATION TEACHING UNIVERSITY LLC BNTU 245433623